რეინტეგრაციის გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტებისთვის

ბროშურა მოამზადა და გამოსცა სამოქალაქო განვითარების სააგენტომ (სიდა) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს (GPAM) - ფარგლებში და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან თანამშრომლობით.

რა არის ტრეფიკინგი?

ტრეფიკინგის მსხვერპლად ითვლება ადამიანი, რომელიც იქნა დაქირავებული, ტრანსპორტირებული, გადაცემული, დამალული, ან მიღებული ქვეყნის შიგნით, ან ქვეყნის საზღვრებს გარეთ, მუქარის, იძულების, მოტყუების, დაშინების, ან სხვა უკანონო საშუალებებით, მისი ექსპლუატაციის მიზნით.

ვინ არის ტრეფიკინგის მსხვერპლი?

ტრეფიკინგის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ასაკისა და სოციალური სტატუსის მქონე ადამიანი, რომელსაც შეიძლება ჩამოართვან პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტები შეუზღუდონ თავისუფალი გადაადგილების უფლება, ოჯახთან კავშირი, მოაქციონ კულტურულ იზოლაციაში, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში, გახადონ იძულებული თავის ნების საწინააღმდეგოდ შეასრულოს ღირსების შემლახველი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სამუშაო (ან გასწიოს მომსახურება) მცირე ანაზღაურების სანაცვლოდ, ან ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

თუ თვლით, რომ ხართ ტრეფიკინგის მსხვერპლი, რა სახელმწიფო სერვისებით შეგიძლიათ ისარგებლოთ?

- პოტენციური მსხვერპლის/დაზარალებულის მიერ პოლიციაში, არასამთავრობო ორგანიზაციაში, ან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სახელმწიფო ფონდში მიმართვის შემდეგ, სპეციალურად შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფი მსხვერპლის საიდენტიფიკაციო კითხვარის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პირისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების, ან სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. დაზარალებულად ითვლება პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის შედეგად, მიადგა მორალური, ფიზიკური, ან ქონებრივი ზიანი და რომელიც სამართალდამცავი წესით ცნობილი იქნა დაზარალებულად;

- საქართველოში 2006 წლიდან ფუნქციონირებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომელიც მსხვერპლს/დაზარალებულს, მიუხედავად ასაკის, სქესისა და მოქალაქეობისა, სთავაზობს უფასო სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას, უფასო იურიდიულ კონსულტაციას და სასამართლოში წარმომადგენლობას, ბათუმის ან/და თბილისის თავშესაფრებით სარგებლობასა და ერთჯერად 1000-ლარიან კომპენსაციას. ამასთან ერთად, თავშესაფარში შეიძლება განხორციელდეს მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციის და რეინტეგრაციის ღონისძიებები, მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. თავშესაფარში მყოფი მსხვერპლების უსაფრთხოების დაცვა გარანტირებულია. დამატებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მსხვერპლს უფლება აქვს მიმართოს სამოქალაქო სარჩელით სასამართლოს და მოითხოვოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიყენებული მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

გახსოვდეთ:

- სამუშაოს ან/და სწავლის დაწყების დროს გადაამოწმეთ ფირმის (ან სააგენტოს) საიმედოობა, რომელთან თანამშრომლობასაც აპირებთ. კერძოდ, რეგისტრირებულია თუ არა ეს ფირმა, ვინ არიან მისი დამფუძნებლები, რამდენი წელია რაც ფუნქციონირებს და ა.შ. მოიპოვეთ მაქსიმალური ინფორმაცია დამსაქმებლის და უკვე განხორციელებული

დასაქმებების შესახებ. მოითხოვეთ კონტრაქტი, სადაც ყველაფერი თქვენთვის გასაგებ ენაზე იქნება დაწერილი. ხელის მოწერამდე კონტრაქტი გააცანით ის იურისტს.
• ნურავის ანდობთ თქვენს პასპორტს! დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში სასურველია, დატოვოთ მხოლოდ ასლები.
• საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დასჯადია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემთხვევაში, დარეკეთ შემდეგ ნომერზე:

112 - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
(+995 32) 2 411 714 - ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ცხელი ხაზი;
(+995 32) 2 100 229 - ტრეფიკინგის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზი.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი: ტელ.: + (995 32) 2 39 53 50; atipfund@moh.gov.ge; www.atipfund.gov.ge; ქ. თბილისი, თამარაშვილის 15ა.

რას გულისხმობს ოჯახში ძალადობა?

ოჯახში ძალადობად ითვლება ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული: ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, მათ შორის გაუპატიურება ოჯახის ფარგლებში, იძულება, უგულებელყოფა.

თუ თვლით, რომ ხართ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, ვის უნდა მიმართოთ?

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსს განსაზღვრავს:
• სასამართლო - შესაბამისი დამცავი ორდერის გამოცემით;
• სამართალდამცავი ორგანოები (პოლიცია) - შესაბამისი შემაკავებელი ორდერის გამოცემით;
• მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი - ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისათვის „ოჯახში ძალადობის მსხვერპლი“ სტატუსის მინიჭებით.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია სახელმწიფო თავშესაფარი, სადაც მსხვერპლთა განთავსება ხდება 3 თვემდე ვადით.

რა სერვისებს სთავაზობს თავშესაფარი მსხვერპლს?
• სამედიცინო მომსახურებას;
• ფსიქოლოგიურ დახმარებას;
• იურიდიულ კონსულტაციას.

გახსოვდეთ:
თუ თქვენ გახდით ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, ან ფლობთ ინფორმაციას ოჯახში ძალადობის თაობაზე, დარეკეთ შემდეგ ნომრებზე:
(+995 32) 2 116 006 - ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზი;
112 - სპეციალურად მომზადებული ოპერატორების დახმარებით პოლიცია მოახდენს დროულ და ოპერატიულ რეაგირებას თქვენ მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე.

„რეინტეგრაციის გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტებისთვის“ პუბლიკაციაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
- დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
- იუსტიციის სამინისტროს / სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს / მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურსოფლის მეურნეობის სამინისტროს

პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:

გიორგი გოგიშვილი
ქეთი აბულაშვილი
ზვიად დევდარიანი

www.cida.ge www.fb.me/cidacso